ნანა ბარდაველიძე

კავკასიის ეკონომიკის სკოლა

კაუნას კოლეჯი, ლიეტუვა

„კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების პირველივე სემესტრიდან ვიცოდი, რომ აუცილებლად მივიღებდი საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას. ასეც მოხდა, ERASMUS+ მობილობის პროგრამის ფარგლებში 2024 წლის გაზაფხულის სემესტრის ლექციებს ვესწრებოდი კაუნას კოლეჯში (Kauno Kolegija) ლიეტუვის ქალაქ კაუნასში.

ცხოვრების ეს ეტაპი ყოველმხრივ საინტერესო იყო, რაც ძირითადად აკადემიური სემესტრით იყო განპირობებული. წარმატებით მივიღე მონაწილეობა არაერთ კონფერენციაში. სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სტუდენტებთან ერთად ვმუშაობდი განსხვავებულ პროექტებზე, მაქსიმალურად ვცდილობდით მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოგვეყენებინა.

სალექციო პროცესების მრავალფეროვნებისთვის, ხშირად ლექციები აუდიტორიის გარეთ, სხვადასხვა ბიზნეს ცენტრებსა თუ ფაბრიკა-ქარხნებში ტარდებოდა.

უდავოდ, შთამბეჭდავია ქვეყნის კულტურა და ტრადიციები, რომლის აღმოჩენაშიც ადგილობრივი სტუდენტები ყოველკვირეული ღონისძიებების დაორგანიზებით გვეხმარებოდნენ.

მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, ეს იყო გამოცდილება, რომელიც მხოლოდ დადებით ასპექტში მემახსოვრება.

ვფიქრობ, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, რასაც დამოუკიდებლობით მოიპოვებ, ყველაზე უკეთ მაინც განსხვავებულ კულტურულ გარემოში საკუთარი თავის დამკვიდრებით ისწავლება. “